*დანართი №4*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

# უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

17/02/2026

## დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

## ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

## ექსპერტი

სახელი -ნინო--

გვარი --- ფარსადანიშვილი-

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს საქართველოს უნივერსიტეტი |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205037137 |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1] | საჯარო მმართველობა |
| 2 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 3 | კვალიფიკაციის დონე[2] | მე-6 |
| 4 | კვალიფიკაციის დასახელება | საჯარო მმართველობის ბაკალავრი |
| 5 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3] | N/A |
| 6 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4] | 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება |
| 7 | სწავლების ენა | ქართული |
| 8 | ECTS კრედიტების რაოდენობა | 180 |
| 9 | განხორციელების ადგილი[5] | მ.კოსტავას 77ა, თბილისი, IV კორპუსი, 0171, საქართველო |

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

| | | |
|---|---|---|
| 10 | საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | აკრედიტებული. №1669316; 27 დეკემბერი 2024 |
| 11 | გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 13 დეკემბერი 2024 |
| 12 | საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი | 1 წელი, 13 დეკემბერი 2025 |
| 13 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | 13 დეკემბერი 2031 |

## საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | X | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | X | | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

## შესასრულებელირეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდებულია კვალიფიკაციის დასახელების ინგლისურ ვერსიაში "Bachelor of Public Administration"-ის გამოყენება (და არა "in").
2. რეკომენდებულია, საბაკალავრო ნაშრომის არჩევით კურსად შეთავაზება, "ბიზნესის ადმინისტრირებისა" და "ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო პროგრამებში მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. ეს უკვე განხორციელებულია პროგრამა 5-ში (ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა ""ბიზნეს ანალიტიკა") და შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ნიმუში.
3. რეკომენდებულია, დეტალური ინფორმაციის მითითება ერთიანი ეროვნული გამოცდების საგნების, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის, ასევე შიდა და გარე მობილობის პროგრამის მეშვეობით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების შესახებ. ასევე რეკომენდებულია დეტალური ინფორმაციის ჩართვა შიდა და გარე მობილობის პროგრამით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების შესახებ.
4. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მოიპოვოს წვდომა ისეთ მონაცემთა ბაზებზე, რომლებიც შეიცავს ფინანსურ და/ან ეკონომიკურ ინფორმაციას, უპირატესად საერთაშორისო ბაზრების შესახებ.

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაზე გაიცა ჯამში 4 რეკომენდაცია, საიდანაც 2 რეკომენდაცია შეეხებოდა პირველი სტანდარტის 1.1 და 1.4 კომპონენტებს, ხოლო დანარჩენი ორი მეორე სტანდარტის 2.1. კომპონენტსა და მეოთხე სტანდარტის 4.4 კომპონენტს.
პირველი სტანდარტის ფარგლებში გაცემული ყველა რეკომენდაცია სრულად იქნა შესრულებული, კერძოდ: პირველი სტანდარტის 1.1 კომპონენტში, კორექტირების მიზნით, გადაიხედა კვალიფიკაციის ინგლისურენოვანი სახელწოდება და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით - Bachelor of Public Administration; 1.4 კომპონენტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციის შესრულების მიზნებისათვის უსდ-მ საბაკალავრო ნაშრომი გადაიტანა არჩევით კომპონენტში, ამასთანავე პროგრამა დამატებით გაამდიდრა არჩევითი საგნებით, მოახდინა სავალდებულო

---

[6]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

საგნების ოპტიმიზაცია და გაითვალისწინა საკანონმდებლო ცვლილებები პროგრამაში სავალდებულო კომპონენტად სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის ინტეგრირების მიზნებისათვის.
მეორე სტანდარტის 2.1 კომპონენტის ნაწილში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დგინდება, რომ უსდ-მ სრულად შეასრულა რეკომენდაცია და დააზუსტა პროგრამაზე მიღების წინაპირობები.
მეოთხე სტანდარტის 4.4 კომპონენტით გათვალისწინებული რეკომენდაციის შესრულების ნაწილში უსდ-მ დააზუსტა, რომ ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია წვდომით შესაბამის ბაზებთან.

## რჩევ(ებ)ი[8]

1. ------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
2. ------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

## დამატებითი ინფორმაცია[10]

------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

---

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

## რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[12] | 1 საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა. |
| კომპონენტის დასახელება[13] | 1.1 პროგრამის მიზნები |
| რეკომენდაცია I[14] | რეკომენდებულია კვალიფიკაციის დასახელების ინგლისურ ვერსიაში "Bachelor of Public Administration"-ის გამოყენება (და არა "in"). |
| შეფასება | რეკომენდაციების შესრულების შესახებ უსდ-ს მხრიდან წარმოდგენილი ანგარიში და მასზე თანდათული საგანამანთლებლო პროგრამა ცხადყოფს, რომ გაცემული რეკომენდაცია კვალიფიკაციის სახელწოდების დაკორექტირებასთან დაკავშირებით შესრულდა, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის ინგლისურენოვან ვერსიაში მითითებულია Bachelor of Public Administration.<br><br>რეკომენდაცია შესრულდა |
| რჩევა[15]I | - |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | წარმოდგენილი ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;<br>საგანმანათლებლო პროგრამა. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | 1 საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა. |
| კომპონენტის დასახელება | 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი. |

[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| რეკომენდაცია II[16] | რეკომენდებულია, საბაკალავრო ნაშრომის არჩევით კურსად შეთავაზება, "ბიზნესის ადმინისტრირებისა" და "ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო პროგრამებში მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. ეს უკვე განხორციელებულია პროგრამა 5-ში (ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა "ბიზნეს ანალიტიკა") და შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ნიმუში. |
| შეფასება | რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ უსდ-მ შეასრულა რეკომენდაცია. გარდა ამისა, წარმოდგენილი დოკუმენტაციით უსდ-მ დამატებით დააზუსტა, რომ პროგრამა გამრავალფეროვნდა 11 არჩევითი საგნის კომპონენტით, პროგრამაში ასევე აისახა საკანონმდებლო ცვლილებებით გათვალისწინებული მოთხოვნა სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის დამატებასთან დაკავშირებით. ასევე პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილმა განიცადა ოპტიმიზაცია პროგრამის შედეგების უცვლელად შენარჩუნებით.<br><br>რეკომენდაცია შესრულდა |
| რჩევა[17]II | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;<br>საგანმანათლებლო პროგრამა;<br>სილაბუსები. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[18] | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა. |
| კომპონენტის დასახელება[19] | 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
| რეკომენდაცია I[20] | რეკომენდებულია, დეტალური ინფორმაციის მითითება ერთიანი ეროვნული გამოცდების საგნების, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის, |

[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[18]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[19]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[20]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| | ასევე შიდა და გარე მობილობის პროგრამის მეშვეობით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების შესახებ. ასევე რეკომენდებულია დეტალური ინფორმაციის ჩართვა შიდა და გარე მობილობის პროგრამით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების შესახებ. |
| შეფასება | წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დგინდება, რომ რეკომენდაცია შესრულდა. უსდ-ს მიერ მომზადებული ანგარიში და თანდართული პროგრამა ცხადყოფს რომ დაკორექტირდა პროგრამაზე მიღების წინაპირობები და ჩანაწერი მოვიდა შესაბამისობაში გაცემულ რეკომენდაციასთან.<br><br>რეკომენდაცია შესრულდა |
| რჩევა[21]I | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;<br>საგანმანათლებლო პროგრამა;<br>სილაბუსები. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[22] | 4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა |
| კომპონენტის დასახელება[23] | 4.4. მატერიალური რესურსები |
| რეკომენდაცია I[24] | რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მოიპოვოს წვდომა ისეთ მონაცემთა ბაზებზე, რომლებიც შეიცავს ფინანსურ და/ან ეკონომიკურ ინფორმაციას, უპირატესად საერთაშორისო ბაზრების შესახებ. |
| შეფასება | უსდ-მ დააზუსტა, რომ ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია წვდომით შესაბამის ბაზებზე. აღნიშნული ბაზების ჩამონათვალი მოცემულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე.<br><br>რეკომენდაცია შესრულდა |

[21]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[22]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[23]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[24]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| რჩევა[25]I | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. |

**თანდართული დოკუმენტაცია[26]**

*ექსპერტის ხელმოწერა*



[25]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[26]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა